ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი

საქართველოში

&

ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

პროექტი

„სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“

სოფლის განვითარების მეორე საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო[1]

სრული საპროექტო წინადადებების კონკურსი

(მეორე ეტაპი)

[1]წინამდებარე პროცედურები ემყარება “ენპარდის”II (ENPARD II) პროექტის ფარგლებში სხვა განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ მსგავს საგრანტო სახელმძღვანელოებს

პროექტის შესახებ

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG) სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში ხორვატიის სოფლის განვითარების ქსელთან (HMRR) და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაცია PMC კვლევით ცენტრთან (PMCRC) პარტნიორობით ახორციელებს პროექტს „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“. პროექტის მიზანია ხულოს მუნიციპალიტეტში სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის საშუალებით.

საგრანტო კონკურსი

პროექტის ფარგლებში, „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა საქართველოში“ გამოაცხადა 2019 წლისთვის სოფლის განვითარების რიგით მეორე საგრანტო კონკურსი.

სოფლის განვითარების მეორე საგრანტო კონკურსის მიზანია იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც ითვალისწინებს ხულოს 2018-2022 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებისა და საკვანძო ამოცანების შესრულებას და არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ხულოს მუნიციპალიტეტში.

ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით ექვსი პრიორიტეტული მიმართულებაა განსაზღვრული:

1. ტურიზმი სოფლად (საოჯახო სასტუმროები არ ითვლება პრიორიტეტულ მიმართულებად);
2. სოფლის მეურნეობა;
3. კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა;
4. კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა;
5. არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობები;
6. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებიც პასუხობს ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ამოცანებსა და სტრატეგიულ აქტივობებს (იხ. ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022, გვ. 5-6).

სოფლის განვითარების წინამდებარე საგრანტო კონკურსი ვრცელდება ხულოს მუნიციპალიტეტის მთლიან ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. გრანტით დაფინანსდებიან მხოლოდ ის პროექტები, რომლებიც ასახავენ ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. გრანტები ხელმისაწვდომია საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს პროექტებისთვის.

გრანტი არ გაიცემა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებმაც ENPARD ხულო სოფლის განვითარების კონკურსის ფარგლებში უკვე მიიღეს დაფინანსება ან გამოვლინდნენ გამარჯვებულად. შეზღუდვა ვრცელდება გრანტის მიმღების ოჯახის წევრებზეც.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საგრანტო დაფინანსების მისაღებად განსაზღვრულია შემდეგი ეტაპები:

1. პროექტის იდეის კონკურსი;
2. სრული საპროექტო წინადადებების კონკურსი;
3. ვერბალური პრეზენტაცია.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებისთვის აპლიკანტმა უნდა გაიაროს კონკურსის სამივე ეტაპი. პროექტის იდეის კონკურსისა და სრული საპროექტო წინადადების ეტაპზე საპროექტო წინადადებები შეფასდება ქულებით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საგრანტო კომიტეტის წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით, კონკურსის მესამე ეტაპზე, როდესაც აპლიკანტები საკუთარი საპროექტო განაცხადების შესახებ ვერბალურ პრეზენტაციას გააკეთებენ.

ადილობრვი განვითარების ჯგუფის პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანებისა და შესაძლო პროექტების/აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ ხულოს ადგილობრივი განვითარების ვებგ-ვერდს (www.khulolag.ge).

ასევე, შეგიძლიათ, ეწვიოთ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის (CCRG) ხულოს ოფისს შემდეგ მისამართზე: ტბელ აბუსერიძის ქუჩა #2 ან ისარგებლოთ ცხელი ხაზით 551 13 55 25 ან გამოაგზავნოთ ელექტრონული წერილი მისამართზე: info.enpard.khulo@caritas.cz.

მეორე საგრანტო კონკურსის სრული საპროექტო წინადადებების წარდგენის ვადები

სრული საპროექტო წინადადებების კონკურსი დაიწყება - 2019 წლის 15 აგვისტოს.

სრული საპროექტო წინადადებების წარდგენა

სრული საპროექტო წინადადებების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ აპლიკანტებს, რომლებმაც გადალახეს სოფლის განვითარების მეორე საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი, პროექტის იდეის კონკურსი.

აპლიკანტები, რომლებმაც ვერ გადალახეს პირველი ეტაპი - პროექტის იდეის კონკურსი, ან არ მიუღიათ მონაწილეობა კონკურსის პირველ ეტაპზე, სრული პროექტების კონკურსში ვერ დარეგისტრირდებიან.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა აპლიკანტმა **სრული საპროექტო წინადადება** უნდა წარადგინოს **ელექტრონულად, ქართულ ენაზე,** და გააგზავნოს მისამართზე: info.enpard.khulo@caritas.cz ან უნდა წარადგინოს ორიგინალი დოკუმენტი კომპაქტ დისკთან ერთად (ელექტრონულად), ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის ხულოს ოფისში შემდეგ მისამართზე: ტბელ აბუსერიძის ქუჩა #2, სასტუმრო ხულო III სართული.

აპლიკაციის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ინტერნეტ გვერდიდან: www.khulolag.ge.

სრული საპროექტო წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 16 სექტემბერი 18:00. **ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.** მეორე საგრანტო კონკურსით განსაზღვრული **სრული საპროექტო წინადადებების** შეფასება დასრულდება 2019 წლის ოქტომბრის ბოლოს.

საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინეტრნეტ გვერდზე (www.khulolag.ge). ასევე, ყველა აპლიკანტი ინფორმირებული იქნება ტელეფონის საშუალებით.

ინფორმაციის გავრცელება/ტრენინგები

სრული საპროექტო წინადადებების მიღებამდე, საპროექტო იდეების ავტორები, რომლებმაც გადალახეს საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი, მოწვეულები იქნებიან სრული საპროექტო წინადადებების აპლიკაციის შევსების ტრენინგზე. ტრენინგის განრიგთან დაკავშირებით აპლიკანტებს ეცნობებათ ერთი კვირით ადრე.

აპლიკაციებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ფორმალური და ფაქტობრივი მოთხოვნები შეგიძლიათ იხილოთ ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტ გვერდზე: (www.khulolag.ge) და ასევე, ENPARD ხულო პროექტის ოფისში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

გრანტის მოცულობა

სოფლის განვითარების მეორე საგრანტო კონკურსის მაქსიმალური თანხა თითოეულ პროექტზე:

- კომერციული პროექტისთვის 2,000-დან 60,000 ევრომდე (ექვივალენტი ლარში);
- არა-კომერციული საჯარო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტის მერიის პროექტებისთვის 2,000-დან 20,000 ევრომდე (ექვივალენტი ლარში);
- არა-კომერციული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროექტებისთვის 2,000-დან 20,000 ევრომდე (ექვივალენტი ლარში).

თანადაფინანსება არის საგრანტო კონკურსის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც უნდა შეადგენდეს მინიმუმ:

- კომერციული 25%
- არა-კომერციული საჯარო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტის მერია 40%
- არა-კომერციული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები 15%

პროექტის იდეის კონკურსის დასრულების შემდეგ კომერციული პროექტები დაჯგუფდება მოთხოვნილი თანხის შესაბამისად (დაბალი, საშუალო და მაღალ ბიუჯეტიანი) და განისაზღვრება კვოტები (პროცენტულად საგრანტო ბიუჯეტის შესაბამისად). კვოტირების მიზანია უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი კონკურენცია თანაბარ ბიუჯეტიან პროექტებს შორის. არაკომერციული პროექტები გამოიყოფა ცალკე ჯგუფად და მათთვის გამოიყოფა ცალკე კვოტა (პროცენტულად საგრანტო ბიუჯეტის შესაბამისად). პროექტები დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

- დაბალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები, რომელთა მოთხოვნილი თანხა შეადგენს 2.000 ევროდან 10.000 ევრომდე; (საგრანტო ბიუჯეტის 28%)

- საშუალო ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები, რომელთა მოთხოვნილი თანხა შეადგენს 10.000 ევროდან 30.000 ევრომდე; (საგრანტო ბიუჯეტის 28%)
- მაღალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები, რომელთა მოთხოვნილი თანხა შეადგენს 30.000 ევროდან 60.000 ევრომდე; (საგრანტო ბიუჯეტის 38%)
- არა-კომერციული პროექტები; (საგრანტო ბიუჯეტის 6%)

სრული საპროექტო წინადადებების კონკურსი



ტექნიკური შემოწმება - ENPARD ხულო პროექტის გუნდი ამოწმებს სრული საპროექტო განაცხადების შესაბამისობას მთავარ კრიტერიუმებთან:

1. განაცხადის შინაარსი არ შეცვლილა.
2. მოთხოვნილი გრანტი რაოდენობა არ გაზრდილა.
3. განმცხადებელი არ შეცვლილა (განცხადებით).

4. პროექტის ხანგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია.
5. აპლიკაციის ბიუჯეტში საგრანტო სახელმძღვანელოს მიხედვით დაუშვებელი ხარჯების წილი მთლიან ბიუჯეტში 5%-ზე ნაკლებია.
6. პროექტის ბიუჯეტი მოცემულია ევროში.

გარე ექსპერტები - სრული განაცხადები გაეგზავნებათ გარე ექსპერტებს, რომლებიც შეაფასებენ პროექტებს, მიანიჭებენ ქულას და დაუწერენ კომენტარებს კრიტერიუმების მიხედვით.

საველე ვიზიტი (მონიტორინგი) - პროექტის საგრანტო მონიტორინგის ასისტენტი მოინახულებს სრული პროექტების განხორციელების ადგილს და შეაფასებს არსებული რესურსების შესაბამისობას განაცხადში აღწერილთან და მიანიჭებს შესაბამის ქულას. საველე ვიზიტში მონაწილეობას მიიღებს საგრანტო კომიტეტის მინიმუმ ერთი წევრიც.

ხულოს ადგილობრივი განვითარების საგრანტო კომიტეტი - კომიტეტი შედგება 4 ჯგუფისგან (ჯგუფები შედგენილია სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით), რომლებიც ექსპერტის მიღებულ რეკომენდაციებს და პროექტებს გაეცნობიან.

ENPARD ხულო პროექტის მენეჯერს კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე აქვს პროექტზე ვეტოს დადების უფლება.

გამარჯვებულების გამოვლენა

შემოსული პროექტები მოთხოვნილი გრანტის მიხედვით დაიყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. დაბალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები - პროექტები რომლებიც ითხოვენ 10.000 ევროს ან ნაკლებს.
2. საშუალო ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები - პროექტები რომლებიც ითხოვენ 10.000 ევროდან 30.000 ევროს ან ნაკლებს.
3. მაღალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები - პროექტები რომლებიც ითხოვენ 30.000 ევროზე მეტს.
4. არა-კომერციული პროექტები.

პროექტის ჯგუფი	პროექტების მაქს. რაოდენობა თითოეული პრიორიტეტისათვის	პროექტების მაქს. რაოდენობა თითოეული თემისათვის

დაბალ ბიუჯეტიანი	10	10
საშუალო ბიუჯეტიანი	5	4
პროექტების მაქს. რაოდენობა თითოეულ თემში ერთი პრიორიტეტისათვის		
მაღალ ბიუჯეტიანი	1 (არა სასოფლო-სამეურნეო პროექტების შემთხვევაში 2)	

* ცხრილში ცემული ინფორმაცია ეხება კომერციულ პროექტებს

1. მეორე საგრანტო კონკურსის საგრანტო ბიუჯეტი შეადგენს 640.000 ევროს.
2. ბიუჯეტის მიხედვით პროექტები შემდეგნაირად გადანაწილდება:
   - 40% მაღალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტებისთვის.
   - 30% საშუალო ბიუჯეტიანი კომერციული პროექტებისთვის.
   - 24% დაბალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტებისთვის.
   - 6% არა-კომერციული პროექტებისთვის.
3. თუ პროექტები ვერ შეავსებენ თავიანთი ჯგუფისთვის განკუთვნილ ბიუჯეტს ან გამარჯვებულების გამოვლენის შემდეგ დარჩება გაუნაწილებელი ნაშთი, დარჩენილი თანხები დაემატება პროექტების სხვა ჯგუფს შემდეგი თანმიმდებრობით:

   ა. დაბალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები;

   ბ. საშუალო ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები;

   გ. მაღალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები;

   დ. არაკომერციული პროექტები;
4. გამარჯვებული პროექტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ 2.000 ევროზე მეტს და 10.000 ევროზე ნაკლებს (დაბალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები) თითოეული პრიორიტეტისათვის არის 10, ხოლო თითოეული თემისათვის მაქსიმალური რაოდენობა 10.
5. გამარჯვებული პროექტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელბიც ითხოვენ 10.000 ევროდან 30.000 ევრომდე (საშუალო ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები) თითოეული პრიორიტეტისათვის არის 5, ხოლო თითოეული თემისათვის მაქსიმალური რაოდენობა ერთი პრიოტეტიდან არის 4.
6. გამარჯვებული პროექტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ 30.000 ევროზე მეტს (მაღალ ბიუჯეტიანი კომერციული პროექტები), თითოეულ

თემში ერთი პრიორიტეტული მიმართულებიდან არის 1. არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების მიმართულების პროექტები შესაძლებელია ერთ თემში დაფინანსდეს 2.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ პროექტებს შემდეგი თანმიმდევრობით: 1. განმცხადებელი ШШ პირია; 2. განმცხადებელი ქალბატონია; 3. განმცხადებელი ახალგაზრდაა (30 წელზე ნაკლებისაა); 4. განმცხადებელი რეგისტრირებული კოოპერატივია (აქტიური სტატუსით).

ყველა სხვა დანარჩენი შემთხვევა, რომელიც არ შეესაბამება ზემოთ აღწერილ შემთხვევებს განხილული იქნება ENPARD ხულო პროექტის გუნდისა და ხულოს LAG-ის მმართველი ჯგუფის მიერ.

ფინანსები და მონიტორინგი[2]

ა. ხარჯები, რომელთა მოთხოვნა არ არის შესაძლებელი გრანტის ფარგლებში და არ არის გათვალისწინებული განმცხადებლის თანადაფინანსებაში:

- კრედიტების/სესხების გადახდა;
- ბიზნესის საოპერაციო ხარჯების დაფარვა - ხელფასები/გადასახადები/საწვავი/ ნედლეული და სხვა საოპერაციო ხარჯები;
- უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება (მაგ. - სხვა წყაროდან უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება);
- ინდივიდუალური ხარჯები (მაგალითად - საგანმანათლებლო ან სამოგზაურო ხარჯები);
- ნებისმიერი ხარჯები, რომლებსაც არ ახლავს ინვოისები/გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ. ხარჯები, რომელთა მოთხოვნა არ არის შესაძლებელი გრანტის ფარგლებში, ხოლო შესაძლებელია შევიდეს განმცხადებლის თანადაფინანსებაში:

- მიწისა და შენობების შესყიდვა;

[2] დეტალურად მოითხოვება მხოლოდ სრული საპროექტო წინადადების წარდგენის დროს.

- სამშენებლო/სარემონტო მასალები და სერვისები (500 ლარზე ნაკლები ღირებულება ერთი ინვოისით);
- მომსახურება/შრომის ანაზღაურება დადასტურებული საშემოსავლო გადასახადით/სასაქონლო ზედნადებით/გადახდის ქვითარით;
- ცოცხალი მასალის და ნერგების შეძენა (მხოლოდ იურიდიული პირებისაგან, გარდა ი/მ-სა);
- ლიცენზიების, ნებართვების, კვლევების, სამშენებლო/საპროექტო დოკუმენტაციის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები;
- დამოუკიდებლად მოწვეული ექსპერტები და კონსულტანტები.
- B კატეგორიის ავტომობილის შეძენა.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან, რომელიმეს არ გათვალისწინების შემთხვევაში სრული საპროექტო წინადადება ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს.

კომერციული პროექტებისთვის განმცხადებლის თანადაფინანსებად შეიძლება ჩაითვალოს სხვა საშუალებებიდან მიღებული ნებისმიერი ფინანსური რესურსი, გარდა დონორის მიერ განხორციელებული დაფინანსებისა. არაკომერციული პროექტებისთვის თანადაფინანსებად შესაძლებელია ჩაითვალოს სხვა საშუალებებიდან მიღებული ნებისმიერი ფინანსური რესურსები, მათ შორის დონორის მიერ განხორციელებული დაფინანსება.

საგრანტო კომიტეტი

<u>საგრანტო კომიტეტი</u> წარმოადგენს ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის დროებით ორგანოს, რომელიც ფუნქციონირებს მეორე საგრანტო კონკურსის დასრულებამდე. აღნიშნული ჯგუფიდან კომიტეტი შედგება არანაკლებ 15 წევრისგან (სოფლის განვითარების მეორე საგრანტო კონკურსისათვის საგრანტო კომიტეტის წევრთა რაოდენობაა 23). კომიტეტის წევრების კანდიდატურებს წარადგენს ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე და დამტკიცება ხდება ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გამგეობის უმრავლესობის მიერ.

სრული საპროექტო წინადადების კონკურსში საგრანტო კომიტეტი დაყოფილია 4 ჯგუფად პრიორიტეტების მიხედვით. თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს მინიმუმ 3 წევრი და წევრთა რაოდენობა არ არის შეზღუდული. 23 საგრანტო კომიტეტის წევრი თვითონ ირჩევს პრიორიტეტულ მიმართულებას. საგრანტო კომიტეტის თითოეული ჯგუფი <u>სრული საპროექტო წინადადებების შეფასების ფორმის</u> მიხედვით გარე ექსპერტის შეფასებულ სრულ საპროექტო წინადადებებს გაეცნობა.

საბოლოოდ ექსპერტის ქულებს დაემატება მონიტორინგის ქულები და შედგება აპლიკანტების სარეიტინგო სია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ვერბალურ პრეზენტაციაზე გასული ძირითადი და სარეზერვო სრული საპროექტო წინადადებები. შედეგების გასაჯაროებამდე ჩაინიშნება საგრანტო კომიტეტის საბოლოო კრება, სადაც კომიტეტს შეუძლია გამონაკლისის სახით, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, გამოავლინოს ხულოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტები (თუ კი იარსებებს) და კომიტეტის საერთო გადაწყვეტილებითა, ყველა წევრის და პროექტის მენეჯერის თანხმობით, გადაინაცვლებს ვერბალური პრეზენტაციაზე გამსვლელთა სიაში. საბოლოო შეხვედრის შემდეგ გასაჯაროვდება სარეიტინგო სია და შედგება შესაბამისი განრიგი ვერბალური პრეზენტაციისათვის.

საგრანტო შეფასების კომიტეტის შეხვედრებში მონაწილეობს “ENPARD ხულო“ პროექტის მენეჯერი და მის მიერ შერჩეული პროექტის თანამშრომლები.

საგრანტო კომიტეტის წევრის დათხოვნა შეუძლია თავმჯდომარეს, წევრის განცხადების საფუძველზე ან გამგეობის მიმართვის საპასუხოდ.

საგრანტო შეფასების კომიტეტის წევრს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა შესარჩევ პროცესში, თუ:

- შესარჩევი კომისიის წევრი წარმოადგენს აპლიკანტს, აპლიკანტის წარმომადგენელს, ოჯახის წევრს ან ნათესავს;
- შესარჩევი კომისიის წევრს გააჩნია სამსახურებრივი, ბიზნეს ან სხვა სახის ურთიერთობები აპლიკანტთან;
- შესარჩევი კომისიის წევრს გაწეული აქვს ფასიანი საკონსულტაციო მომსახურება პროექტის იდეების აპლიკაციების შევსებისას.
- შესარჩევი კომისიის წევრი დაკავშირებულია აპლიკანტთან რაიმე სხვა გზით ან არსებობს გარემოებები, რომლებმაც შესაძლებელია, გავლენა მოახდინონ ობიექტურ შერჩევაზე.

ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერ შემთხვევაში ანუ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო შეფასების კომიტეტის წევრს ან მისი ოჯახის წევრს გააჩნია რაიმე ფინანსური ან სხვა სახის ინტერესი აღნიშნულ პროექტში, ეს წევრი უარს ამბობს ამ კონკრეტული პროექტის და იგივე პრიორიტეტული მიმართულების სხვა პროექტების შეფასებაზე. ამ შემთხვევაში პროექტი შეფასდება კომიტეტის სხვა ჯგუფის მიერ.

პროექტის შეფასება და ქულების მინიჭება

სრული საპროექტო წინადადებების კონკურსის ეტაპზე პროექტებს შეაფასებენ ქულებით:

1. გარე ექსპერტები;
2. მონიტორინგის ჯგუფი.

პირველ რიგში, სრულ საპროექტო წინადადებებს გარე ექსპერტები შეაფასებენ 100 ქულიანი სისტემით. აღნიშნულ ქულასთან ერთად, გარე ექსპერტები შეადგენენ კომენტარებს და დასკვნებს სრულ საპროექტო წინადადების შეფასებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ექსპეტის შეფასებით პროექტი მიიღებს 20 ქულაზე ნაკლებს, განაცხადი ავტომატურად მოიხსნება საგრანტო კონკურსიდან.
სრული საპროექტო განაცხადების მიღებისა და განრიგის შედგენის შემდეგ მონიტორინგის ჯგუფი (ტექნიკური ჯგუფის 2 წევრი) და საგრანტო კომიტეტის შერჩეული წევრი შეაფასებენ პროექტს. მონიტორინგის მაქსიმალური შეფასების ქულაა 20 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების რომელიმე კომპონენტს მონიტორინგი შეაფასებს 0 ქულით, პროექტი ავტომატურად მოიხსნება საგრანტო კონკურსიდან.

გარე ექსპერტისა და მონიტორინგის მიერ დაწერილი ქულები გამრავლება შესაბამის შეფასების წილზე (ექსპერტი 90% და მონიტორინგი 10%).

დაფიქსირებული ქულები დაჯამდება და მიიღება სრული საპროექტო წინადადების შეფასების საბოლოო ქულა.

პროექტები რომლებიც არ პასუხობენ საგრანტო სახელმძღვანელოს მოთხოვნებს და აუცილებელ კრიტერიუმებს (იხ. სრული საპროექტო განაცხადების შესაბამისობას მთავარ კრიტერიუმებთან გვ.6) ტექნიკური ჯგუფის მიერ დახარვეზდება და არ შეფასდება.

ვერბალური პრეზენტაციები

საგრანტო კომიტეტი ENPARD ხულო პროექტის მენეჯერთან ერთად დანიშნავს შეხვედრას სრული პროექტის აპლიკანტებისთვის, რომლებიც ვერბალურად წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს. საგრანტო კომიტეტის წევრებმა შესაძლოა, დამატებითი კითხვებით მიმართონ აპლიკანტებს. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტის უმრავლესობა მხარს დაუჭერს პროექტს, მას მიენიჭება გრანტი.

შეტყობინება აპლიკანტისთვის გადაწყვეტილების შესახებ

წარმატებული პროექტის განმცხადებლებს საპროექტო იდეების ეტაპის გავლის შემთხვევაში გაეგზავნებათ შეტყობინება ტელეფონის/ელექტრონული ფოსტის

საშუალებით შემდგომი პროცედურების შესახებ. დამტკიცებული პროექტის იდეების სიაც ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ვებ-გვერდზე www.khulolag.ge.

სააპელაციო პროცედურა

აპლიკანტებმა, რომლებმაც სრული საპროექტო წინადადებების ეტაპზე, ვერ დააგროვეს ვერბალურ პრეზენტაციაზე ძირითად ჯგ უფში მოსახვედრად საკმარისი ქულა, შეუძლიათ გამოცხადნენ ორგანიზაციის „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ ხულოს ოფისში განაცხადის ქულის შესახებ წერილობითი განმარტების მისაღებად (განცხადების მიღებიდან 1 კვირის ვადაში). თუ განმცხადებელთან დაკავშირება ტელეფონის საშუალებით ვერ მოხერხდა და პროექტის გუნდს შეექმნა მასთან დაკავშირების პრობლემა, ამ შემთხვევაში მხოლოდ განმცხადებელს ეკისრება პასუხისმგებლობა და 15 დღის ვადაში შეუძლია გამოცხადდეს პროექტის ოფისში.